№ 61
კვირა, 19 მარტი, 1900 წ.

1877—1900

№ 61
კვირა, 19 მარტი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ცხოვრებისათვის საჭირო შემოსავლის დაზღვევა.

იმათ, ვისაც ჰსურთ თავიანთ თანხიდგან მეტი მუდმივი შემოსავალი ჰქონდეთ, ვიდრე სხვა დაწესებულებიდგან ეძლევათ, ვურჩევთ დააზღვევონ თავიანთი შემოსავალი „როსსიას" დამზღვევ საზოგადოებაში ამ თანხის ერთბაშად შეტანით.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დასაზღვევის ხნიერება... | 55 წ. | 60 წ. | 65 წ. | 70 წ. | 75 წ. | 80 წ. |
| შეტანილ თანხის მუდმივი შემოსავალი... | 8,07 % | 9,44 % | 11,14 % | 13,46 % | 16,03 % | 17,77 % |

ასეთი დაზღვევა გამოსადეგია ყოველ წლოვანების უფლება უქონელთა დასაზღვევად, რომელნიც დამზღვევის მზრუნველობასა ქვეშე იმყოფებიან, ერთგულ მოხუცებულ მოსამსახურეთა უზრუნველ-საყოფელად და სხვა შემთხვევებშიაც.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, ს. № 76), გამგეობის განყოფილებაში ტფილისს (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

**დამზღვევი საზოგადოება „როსსია".**

ნაღდი თანხა საზოგადოებისა 35.000,000 მანეთს აღემატება. (6—79—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12** საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ც. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

**ისიდორე ივანეს ძე რამიშვილი** ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავისის მეუღლის

**ანასტასიასას.**

მიცვალებულს გაასვენებენ სამშაბათს, 21 მარტს, ქ. ბათომში.

(1—82—1)

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თაღლოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

კვირას, 26 მარტს, ტფილისის „სობრანიის" დარბაზში გამართული იქნება ბ-ნ ი. გ. მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ

ქართული სასულიერო

## კონცერტი
(მეორე)

მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ. გუნდი იგალობებს სხვა-და-სხვა ქართლ-კახურს საეკკლესიო საგალობლებს.

გუნდში 60 ქალი და ვაჟია.

ბილეთების ფასი 4 მანეთიდგან 1 მანეთამდეა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში და „სობრანიის" მეკარესთან.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე.

(3—უ.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

## ახალი ამბავი

** როგორც გავიგეთ, ბ-ნ დუტუ მეგრელს დაუწერია ლექსად ხუთ-მოქმედებიანი დრამა სათაურით „მწირი სარდარი". ეს დრამა წაუკითხავს ავტორს ერთს კერძო კრებაში და ძალიან მოსწონებიათ.

## ფელეტონი

### უმეცრობის ფართი-ფურთი
(შემდეგი *)

### VII

წინა წერილში იმაზე შევწყვიტე სიტყვა, რომ ვიკითხე: საიდამ მოაჭორა ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ ისეთი მსხვილი ტყუილი,—ვითომც ჩვენებური ბანკი „თავად-აზნაურულ წოდებრივი" იყოს. მე საკმაო საბუთები მოვიყვანე, რომ ჩვენებური ბანკის დაწესებულება არც შედგენილობით, არც გამგებლობით, არც რაიმე იურიდიულ ან სხვა გვარ კარემიკუ-ლობით წოდებრივი დაწესებულება არ არის. მაშასადამე, ამ მხრით ბ-ნ ჟორდანიას თქმული მტკნარი უმეცრობაა, მტკნარი ტყუილია. ეხლა სხვა მხრივ შევხედოთ, ჩვენებურს ბანკს მოქმედება გავუსინჯოთ. იქნება იგი მარტო თავად-აზნაურთათვის ჰმუშაობს, მარტო იმათის ხელის გასამართავად არის, იქნება საგნადა აქვს მთელი თავისი მოგება მარტო ამ წოდებას ჩაუყაროს ჯიბეში და იქნება ამ საბუთების ძალით ბ-ნს ჟორდანიას გამოუნასკვავს, ვითომც ჩვენებური ბანკი „მეორე მხრით თავად-აზნაურულ წოდებრივია".

რომ ჩვენი ბანკი ყველას ერთნაირად კრედიტით ხელს უმართავს—ეს ხომ ეჭვ გარეშე არის. გლეხია, თავადია, აზნაურია, თუ სხვა ვინმე, ყველას, წოდების და ხარისხის მიუხედავად, ნება აქვს ჩვენს ბანკს ფული ესესხოს, ოღონდ დასაგირავებლად უძრავი ქონება ჰქონდეს. ამ მხრით ჩვენებური ბანკი, როგორც ცხადად ჰხედავთ, წოდებრივს ნიშანწყალზე შორს არის. არა ნაკლებ შორს არის მოგების განაწილების თვალითაც. მე-101 მუხლი წესდებისა ცხადად ამტკიცებს, რომ მოგება თავად-აზნაურთა ჯიბეში არ მიდის. ყველაზე უდიდესი ერთიანი წილი, ესე იგი, 45% მოგებისა, წესდების ძალით, უნდა მოჰხმარდეს ტფილისის გუბერნიის მიწის მფლობელთა და მიწის მომქმედთა საზოგადო საჭიროების გაძღოლას, სასოფლო კრედიტის, სამეურნეო სკოლების სოფლებში მოფენას, სამეურნეო მანქანების და იარაღისათვის საწყობების და სახელოსნოების დამართვას და სხვანი. დანარჩენი, თვითეულად ბევრით ამაზე ნაკლები წილი, სხვა-და-სხვა თავნის სამატად და ბანკის მოხელეთა გასამჯელოდ არის დადებული.

იქნება ბ-ნ ნოე ჟორდანიამ არც ის იცის,—რას ჰნიშნავს „მიწათ-მფლობელი და მიწათ-მომქმედი". პირველ სიტყვის ქვეშ იგულისხმება თავად-აზნაურობა და მეორის ქვეშ გლეხ-კაცობა. ასეა ყოველგან მიღებული და თუ ბ-ნი ნოე ჟორდანია ამაში გაგვიჭირვეულდება, ახალს საბუთს მოგვცემს თავისის უმეცრობისას.

ხომ ვხედავთ, რომ ეს ჩვენი გერმანიაში გაწურთნული პუბლიცისტი ვერც ამ მხრით უკიჟინებს ჩვენს ბანკს წოდებრიობას და მაშ საიდამ გამოხანხლა თავისი ჭორი? მარტო სახელს თუ შეუცდენია, რომ ჩვენს ბანკს თავად-აზნაურთა ბანკი ჰქვიან. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს, სხვათა შორის, „მიხაილოვის" სახელიცა ჰქვიან დიდის მთავრის მიხეილის პატივსაცემლად და განა იგი ბანკი დიდის მთავრისაა? აქაურ კამერციის ბანკს ტფილისის საკომერციო ბანკი ჰქვიან და განა აქედამ ის გამოდის, რომ იგი ბანკი ტფილისისაა და ტფილისის ქალაქის გამგებლობაშია? ამისთანა შემთხვევაში სახელი ყოველთვის თვით საგანს არა ჰნიშნავს და არც საგნის ვითარებას. აქ სახელის გარდა საჭიროა კაცმა თვით არსებითი საგანი დაწესებულებისა იცოდინოს და მარტო ტიტულს არ დასჯერდეს.

### VIII

ხოლო ბ-ნ ნოე ჟორდანიისთვის ღმერთს არც ცოდნა ურგუნებია და არც ცოდნის სურვილი, თორემ ასე გამოუკითხავად არ გაირჯებოდა, არ მოიქცევოდა. რა ეს და რა სხვა! აი თუნდ ერთი მაგალითიც, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია არ დაგიდევთ, რას ამბობს და რას არა და მის მიერ ხმარებული სიტყვა ან მას თვითონაც არ ესმის, ან უნდა გამოგვიტყდეს, რომ განგებ და განზრახ აბრიყვებს მკითხველს. აი იგი იმავე მეთაურში რას არახუნებს *): „ბანკი მას (მითამდა თავად-აზნაურობას) უფრო და უფრო ასუსტებს და არღვევს; ბანკის დამფუძნებელთ (?!) ეყიდებათ მამული და ღატაკდებიანო". არ შეიძლება ბ-ნმა ჟორდანიამ გვიბრძანოს: სად, როდის და რა შემთხვევაში „დამფუძნებელთ" ეყიდებათ მამული ბანკის საშუალებით? ბევრიც რომ თავი იფხანოს, ბევრიც რომ გაიჭიჭოს, ამას ვერ გვეტყვის, იმიტომ-რომ „დამფუძნებელი" ბანკისა ამ მხრით ყოვლად ხელ-შეუხებელია და მამულის გაყიდვის, თუ არ გაყიდვის გამო ბანკს საქმე აქვს მარტო იმასთან, ვისაც ბანკში მამული გირაოდ შეუტანია და ვალად ფული გაუტანია. ამისთანა კაცს ვალის ამღები ჰქვიან და არა „დამფუძნებელი".

„დამფუძნებელი"-კი მარტო ფულის ჩამომსვლელია და საქმის დამაარსებელი. ჩვენის ბანკის დამფუძნებელმა იმისთანა სიკეთეც გამოიჩინა თვისდა სასახელოდ, რომ მისის ფულით და მისის ღვაწლით დაარსებულ

*) იხ. „ივერია" № 60.

*) „კვალი", № 11, გვ. 1, სვეტი 2.

შინაარსი დრამისა თანამედროვე ცხოვრებიდგან არის აღებული.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობამ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს დაბა ხონში დააარსოს სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

*** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობამ ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზედ დაადგინა გამოსცეს რომელიმე საინტერესო ძველი ხელთ-ნაწერი გ. ქართველიშვილის მიერ საზოგადოების სასარგებლოდ შემოწირულ ფულის სარგებლით. ხელთ-ნაწერის არჩევა გამგეობამ დაავალა ექ. ს. თაყაიშვილს და დ. კარიჭაშვილს.

*** კვირას, 26 მარტისთვის, ქალაქის პირველი და მეორე გილდიის ვაჭართა საზოგადო კრებაა დანიშნული.

*** ტფილისის მეორე ნაწილის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორის თანაშემწე ბ-ნი მ. კვალიაშვილი დანიშნულ იქმნა ახალ-ქალაქის მაზრის ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორად.

*** როგორც ისმის, ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს მდივნად ჰნიშნავენ საკონტროლო პალატის რევიზორის თანაშემწეს მ. ი. მილსენკოს.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია ქუთაისის გუბერნიის სოფელ დიდ-ჯიხაიშის სამარხ კასის წესდება.

*** სადგურ ხაშურიდგან ბათუმამდე გაყვანილი ნავთის მილი 25 მარტიდგან დაიწყებს მოქმედებას.

*** როგორც „ტფ. ფურც." სწერს, ავლაბრის მცხოვრებელთ კერძო მოლაპარაკებაზედ ამოურჩევიათ დეპუტაცია, რომლისათვისაც დაუვალებიათ, ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს სთხოვოს, რომ საკომერციო სასწავლებელი ქალაქის ამ ნაწილში იქმნას დაარსებული. ამ თხოვნას ავლაბრის მცხოვრებელნი იმითი ასაბუთებენ, რომ ავლაბარში უმეტეს ნაწილად ვაჭარი ხალხი სცხოვრობს, და საკომერციო სასწავლებლის ავლაბარში დაარსება მცხოვრებთ დიდ სარგებლობას მოუტანსო.

*** კუკიის იმ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებთან, რომელიც ამ ცოტა ხანში საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს ხარჯით იქმნა დაარსებული, გაზეთ „კავკასის" სიტყვით, განუზრახავთ დააარსონ აგრეთვე ღარიბ მოხუცებულთათვის თავ-შესაფარი.

*** პარასკევს, 17 მარტს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისში ჩამოვიდა სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I. ტფილისის სადგურზედ კათალიკოზს მიეგებნენ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი გ. ს. კოვალევი, ქალაქის მოურავი, სომეხთა სამღვდელოება და მრავალი ხალხი. სადგურიდგან კათალიკოსი პირდაპირ ვანქის ეკკლესიაში წავიდა, სადაც მცირე ლოცვა გადაიხადა.

*** სოფ. თიანეთი. ჩვენს სოფელში 14 მარტს მოხდა ერთ კლასიანის სასწავლებლის შენობის ასაგებად იჯარის გაცემის საჯარო ვაჭრობა. ასაგებ შენობის იჯარით გაცემა მინდობილი ჰქონდათ „ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების" სკოლათა ინსპექტორს ბ-ნ ევ. მამინაიშვილს და თიონეთის მაზრის უფროსს თ. ნიკოლოზ ჩოლაყაშვილს. შენობა გადასცეს ასაშენებლად ცნობილს მოიჯარადრეს ბ-ნ ბაბუთიძეს, რომლისაგანაც აგებულია მრავალი ეკკლესიები და სკოლათა შენობები და, სხვათა შორის, თელავის სასულიერო სასწავლებელიც. ამ ხაირად თიანეთში შენდება ორ სართულიანი სასკოლო შენობა და ეძლევა საშუალება „ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას" კვლავ თიანეთში თავისი სკოლა იქონიოს. სკოლა სრულიად იკეტებოდა, რომ ადგილობრივი საზოგადოება არ შესწეოდა, რომელმაც გამოიღო სკოლის ასაშენებლად 3,200 მან. „ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას" თავის მხრივ გადადებული აქვს ამ საქმისათვის 4,000 მანეთი.

*** თიანეთშივე ევ. მამინაიშვილის და მაზრის უფროსის ნ. ჩოლოყაშვილის მეცადინეობა-მეთაურობით მოხდა კრება და დაადგინეს, რომ ადგილობრივმა საზოგადოებამ მისცეს ადგილი და მოიტანოს მასალა ასაგებად საქალებო სკოლისა, რომელიც უნდა ინახებოდეს ტფილისის საეპარქიო საბჭოს ხარჯით.

*** ქალაქის გამგეობამ ქალაქის ბაზრის განსაწესრიგებლად პროექტის შემუშავება უკვე დაამთავრა. პროექტში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ჩარჩების თავგასულობის ალაგმვას, რასაც აქამდე ნაკლებად ჰქონდა ყურადღება მიქცეული. თუ ამ მხრით პროექტი ჯეროვნად სისრულეში იქმნა მოყვანილი, რაღა თქმა უნდა, იგი დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც ქალაქის მცხოვრებთ, აგრეთვე სოფლის ხალხს, რომელთაც ჩარჩები ჩალის ფასად სცინცლავენ შემოტანილ სანოვაგეს და შემდეგ ერთი ხუთად უფრო ძვირად ჰყიდიან.

*** „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში" დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ტფილისის ქალაქის საკუთარ მიწებიდან ერთი ნაჭერი ხაზინას გადაეცეს ტფილისის ჯარებისთვის საკარანტინო მოედნის მოსაწყობად.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, ბ. ს. გამრეკელს მიერ ტელეფონი გაუმჯობესებია და ეს გაუმჯობესებული ტელეფონი წარუდგენია სათანადო მთავრობისათვის პრივილეგიის მისაღებად. ამ მიერ ტელეფონს რუსეთის ერთ-ერთს რკინის გზაზედ გამოსცდიან.

*** განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს მეკტლეთათვის საკანდიდატო დადგენილებათა შემუშავება, უკვე შესდგომია მუშაობას.

*** მთავრობის განკარგულებით, საგუბერნიო ანუ სამაზრო სამხედრო ბეგარათა საკრებულოებში, მაზრის სამხედრო უფროსის მაგივრად, დანიშნულ უნდა იქმნენ ხოლმე წევრებად ადგილობრივ მეციხოვნეთა ჯარის ის მოხელენი, რომელთაც ჯარის ნაწილის უფროსის უფლებანი აქვთ მინიჭებული.

*** ქალაქში ამ ბოლოს დროს ხუნაგით ხვადმყოფობა შესამჩნევად გავრცელდა.

*** საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი ამ დღეებში ბორჩალოს მაზრაში გაგზავნა მთავრობამ ადგილობრივ მცხოვრებთა ყვავილის ასაცრელად.

*** გაზეთების სიტყვით გუმბრის მაზრის ზოგიერთ სოფლებში საქონლის ჭირი გაჩენილა.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა დაავალა პოლიციის VI და IX ნაწილის ბოქაულთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ნაწილების ქუჩებისა და ეზოების დაწმენდა-დასუფთავების საქმეს.

*** 16 მარტს პოლიციის მე-V ნაწილში კათოლიკეების ქუჩაზედ, იუზბაშევის სახელოსნოში, ტფილისის მცხოვრებელი ტერმარკოზოვი წასჩხუბებია ს. ოქროპირიძეს და დანით ყბაში დაუკრია.

*** რედაქციამ მიიღო ჟურნალ მოამბის თებერვლის მე-II №-ი. აი შინაარსი ამ ნომრისა:

1, ქამუშაძის გაჭირვება.—V.—VI. მოთხრობა დავით კლდიაშვილისა; 2, პოეტის ფიქრი.—ლექსი განდეგილისა; 3, წარსულიდან.—საშუალო სასწავლებელში.—ნაწილი მესამე.—VII—XVI. მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. 4, ჩემი სიმღერა.—ლექსი ვ. რუხაძისა; 5, როგორ გაჩნდა სიყვარული—ვ. გომულიცკისა, თარგმანი თ. სახოკიასი; 6, 1899 წლის ქართული სიტყვა-კაზმული ლიტერატურა.—კიტა აბაშიძისა; 7, სამეცნიერო მუშაობა.—პ. უმიკაშვილისა; 8, მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა?—ე. თ.—სა; 9, ალექსანდრე ბატონიშვილისა და იოსებ ბებუთაშვილის მიწერ-მოწერა; 10, შინაური მიმოხილვა.—ახლად განზრახული გადასახადი—გადასახადთა ისტორიის უმთავრესი მომენტები.—ჩვენი უკან ჩამორჩენა.—ახალის გადასახადის უმთავრესი თვისებანი.—მისი პრინციპიალური სიკარგე.—მისი პრაქტიკული მხარე.—შემოსავლის სიფრთხილით გამოანგარიშების საჭიროება.—ერობის ერთი საწინააღმდეგო მოსაზრება.—ორიოდე სიტყვა pro domo sua.—ლალისა; 11, უცხოეთის მიმოხილვა—ბრძოლა სამხრეთ-აფრიკაში.—ლალისა.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

უეჭველია იცნობთ ჩვენის მწერლობის ძველს მშრომელს ბ-ნს ანჩისხატელს, რომელსაც მოხუცებაშიაც თან გამოჰყვა ოდესმე დიდებულის ანჩხატის სიყვარული.

გეცნობებათ ის უცნაური ევროპიელი ექიმბაშიც, რომლის ჰკუის ვითომ და მეცნიერული დასკვნა სალაღობო მასლაათის სახით წარსულ კვირა დღეს წინ გადმოგვიშალა ანჩხატელმა.

ყველას თავისი მტერი ჰყავს და ჩვენს ღვინოსაც, ფილოქსერასა და ოიდიუმ-მილდიუს გარდა, ეს უცნაური ექიმბაში გამოსჩენია. არ ვიცით, ღვინის მტერ მიკრობთა რომელს ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ არა გვგონია-კი, რომ იგი, ევროპას ვინა სჩივის, ანჩხატს გასცილებოდეს და მეცნიერებისა „ინჩი" გაეგებოდეს.

ანჩხატელი არა-ექიმი და ეს უცნაური, მეცნიერებასთან მწყრალად მყოფი ექიმი ერთმანეთს შეხვედრიან და ამ ექიმს არა-ექიმისათვის მეცნიერულის ქედ-მაღლობით დაუწყია ლაპარაკი, რომ „ქართველი ხალხი ქვეყნისაგან უნდა გაჰქრეს", „ქართველს ჰკუა ელევაო".

რა მიზდაო? გაიოცებთ: კიდევ მიწის-ძვრა ხომ არ არის მოსალოდნელი საერთო რისხვად, წარღვნა, ან გველ-ვეშაპთა წვიმა, და თუ ეს მოსალოდნელია, რაღა ქართველ, ამ ღვთის-მშობლის წილ-ხვედრ, ერის ამოსაწყვეტადაო?

არა, ეგ-კი არა, ამ უცნაურს ანჩხატელს ექიმს მწვანე აქლემები უნახავს სიზმრად და მოჰლანდებია, ვითომ „ქართველი ხალხი ამ ქვეყნად უნდა გაქროს" ღვინომ, კახურმა, იმერულმა ღვინომ; ვითომ ქართველი იმდენს ღვინოსა სვამდეს და ისე იწამლებოდეს შთამომავლობით ამ სასმელით, რომ „მისი საქმე გათავებული იყოს".

უთქვამს ამ ჰკუის-კოლოფს ექიმს ეს მოლანდებულ მოსიზმრებული აქია და თან მეცნიერულად გაბერილი. საკვირველი აქ ის კი არ არის, რომ ვიღაცას რაღაცა მოლანდებია და მეცნიერულადაც გაბერილა არა-ექიმის, არა-მეცნიერის წინაშე. საკვირველი ის არის, რომ პატივცემულს ანჩხატელს შიშით გული აჰკანკალებია, ცუდ-მადა მეცნიერული ყოყოჩობა ხალხს სიბრძნედ სჩვენებია და შემკრთალი საჯაროდ ჰკითხულობს, ნუ თუ „მართლა ღვინო ასეთი საწამლავია, რომ ქართველ ხალხს ამოწყვეტა მოელის და ქართველობის ხსენება საქართველოში უნდა გასწყვიტოს ამ საყვარელმა სასმელმაო?!.."

აბა ადამიანის გაბრიყვებაც ასეთი უნდა, აი! და მერე ვინ იცის, რამდენი, ანჩხატელისთანა, გულ-უბრყვილო კაცი შეაფიქრიანა იმ ცრუ პენტელა ექიმბაშმა და დააჯერა, რომ ქართველს ერს, რომელსაც ქრისტეს დაბადებიდგან აქამომდე მტრის მუსრვა და სისხლის-ღვრა არ მოჰკლებია, რომელსაც ვერც მურვან-ყრუმ

---

საქმის გასაძლოლად და წარსამართავად ყოველ წოდების კაცს კარი გაუღო, ყოველის წოდების კაცი მიიწვია, იძმო, მოდით ერთად ვიშრომოთო, წოდების და ხარისხების მიუხედავად, თუ-კი ჩვენის ბანკიდამ სესხით ხელის გამართვას მოიწადინებთო. ამ სახით „დამფუძნებელი" მარტო ბანკის დამაარსებელია და ფულის ჩამომსვლელი და სხვა არავითარი ცალკე ქონებრივი დამოკიდებულება არა აქვს ბანკთან და ვისი რა პასუხის მგებელია, ვისი რა ზღვეველია თავისის მამულითა?

აშკარაა, ამ შემთხვევაშიც ამ ჩვენს ბრძენს პუბლიცისტს, თავისის ახირებულ ჩვეულებისამებრ, არა სცოდნია რაზედ რას ჰლაპარაკობს, ვალის ამღები და ბანკის დამფუძნებელი ერთმანეთში აურევია, ერთი მეორისაგან ვერ გაურჩევია. აშკარაა, ამ ჩვენს ვაჟბატონს მის მიერ ხმარებულ სიტყვის მნიშვნელობაც-კი არა სცოდნია და ერთობ საგნის ცოდნას ვიღა იკითხავს. ბანკი დამფუძნებელს, როგორცა ვთქვით, ახლოც ვერ მიეკარება მამულის თაობაზე. იგი მამულს უყიდის მარტო ვალის გამტანს, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ვალის დაბრუნების პირობა თავისს დროზე არ შეუსრულა. აქ რა შუაშია დამფუძნებელი, როგორც დამფუძნებელი. მართალია, შესაძლოა დამფუძნებელი ვალის ამღებიც იყოს, ხოლო ამ შემთხვევაში იგი პასუხისმგებელია, ვითარცა ვალის ამღები და არა „დამფუძნებელი". მაშ რა საბუთი ჰქონდა ბ-ნ ნოე ჟორდანიას, რომ ის ეთქვა, რაცა სთქვა დამფუძნებელზე. განა ყველა დამფუძნებელი ვალის ამღებიც არის, რომ ერთობ ერთს მაფრაშაში მოაქცია ვალის ამღები და დამფუძნებელი? მართალია, უმეცრობის მაფრაში პირ-განიერია და ყველას გადაჰყლაპავს, მაგრამ განა აქედამ ის გამოდის, რომ პუბლიცისტმა ორი სხვა-და სხვა საგანი ერთმანეთში დომხალივით აურიოს.

განა აშკარა არ არის, რომ აქ ჩვენ ყოვლად მტკნარ უმეცრობასთან გვაქვს საქმე, ამისთანა უანბანო უვიცობასთან, რომელიც სათაკილოა გიმნაზიის პირველ კლასსის მოწაფისათვისაც და ბ-ნ ჟორდანიას-კი, როგორც მისის ამქრის ამბავი ვიცი, სასახელოდ გაუხდება. კაცს რომ არ გაეგებოდეს რას ჰქვიან ბანკის „დამფუძნებელი" და რას ვალის ამღები და ბანკის თაობაზედ-კი მაინც და მაინც სჯიდეს და ჰბჭობდეს, მეტი სითამამე და კადნიერება-ღა გნებავთ! აი რის შემძლებელია უმეცრობა, რის გამბედავია! აქ რა ტვინის ძარღვების დაჭიმვა მოუნდებოდა ბ-ნ ჟორდანიას, რომ ჯერ შეესწავლა,—რას ჰნიშნავს „დამფუძნებელი" და რას—ვალის ამღები და მერე ელაპარაკნა, რაკი ენის ქავილი არ ასვენებდა. გარნა რას იზამთ, რომ უზურში ამისი უნარი და საფანელი არ არის.

გავუსწოროთ უმეცარს უმეცრობის ცოდვა და ჩავაგონოთ, რომ თუ ბანკი მამულს უყიდის ვისმე, სხვას არავისს, თუ არ ვალის ამღებსა, ისიც მარტო იმ შემთხვევაში, როცა ვალის ამღები ვალის დაბრუნების პირობას არ ასრულებს. მაშ როგორ ჰნებავს ამ გერმანიაში გამეცნიერებულს ვაჟბატონს, რომ ბანკმა თავისის ხელითვე საფლავი არ გაითხაროს? მაშ რა ჰქმნას ბანკმა, რომ მის მიერ ნასესხი ფული ძალით არ დაიბრუნოს, თუ სესხის ამღები ნებით არ უბრუნებს ნასესხსა? ნუ თუ მარქსი ოდესმე დამდურებია ბანკს, რომ მის მიერ გასესხებულს ფულს ძალით იბრუნებს, თუ ნებით არ უბრუნებენ. რომელი ბანკია ქვეყანაზე, რომ ბარაქალა ან მადლობა უთხრას სესხის ამღებს, როცა ნასესხს არ უბრუნებს პირობისამებრ? აბა ერთი ბ-ნ ჟორდანიამ გამობლერტოს თავისის უმეცრობის მაფრაშა, იქნება სადმე კუნჭულშია მივარდნილი ამისა პასუხი.

ან ერთობ შესაძლოა განა ქვეყანაზე კრედიტის არსებობა, რა სახის კრედიტიც გინდ იყოს, თუ თავმდებული არ იქნება, რომ თუ ნასესხს ნებით არ დაუბრუნებენ, ძალით გაინაღდებს და დაიბრუნებს. ამ შემთხვევაში საადგილ-მამულო კრედიტის მწარმოებელი ბანკი, როგორც ჩვენებური ბანკია, მით უფრო ხელშემწყობია სესხის ამღებისათვის, რომ მარტო დაგირავებული მამული უნდა და იკმაროს, თუ გაყიდვაზე მისდგა საქმე, და სხვა ყოველი ქონება ვალის ამღების თავისუფალია, თუნდ დაგირავებულმა მამულმა ნახევარი ვალიც ვერ აიყენოს და ვალის ამღებს თუნდ მილიონები სხვა ეწყოს. სხვა გვარ კრედიტის მწარმოებელ ბანკებს ნება აქვთ, თუ ერთი რომელიმე ქონება ვალის ამღებისა ვალს ვერ გაუწვდა, ყოველს სხვას მისს ქონებას აზღვევინონ ნაშთი ვალისა და თუნდ ცარიელ პერანგის ანაბარას დასვან ვალის ამღები, წარბსაც ვერ-ვინ შეუხრის. მაშ რაზედ აუთვალწუნებია ბ-ნს ნოე ჟორდანიას ჩვენი ბანკი, როცა იგი, ვითარცა საადგილ-მამულო კრედიტის დაწესებულება, სხვა ბანკებზე უფრო ხელ-გაუშლელად, შეღავათიანად ჰხმარობს იმ უფლებას, ურომლისოდაც ვერა გვარი კრედიტი ერთს დღესაც ვერ გასძლებს, ერთს დღესაც ვერ იცოცხლებს.

დავანებოთ ამაებს თავი და ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერც შაჰ-აბასმა, ვერც თემურლანგმა ვერა დააკლეს-რა,—ღვინო, ეს მშვენიერი წვენი ყურძნისა, ბოლოს მოუღებსო.

ამ ექიმბაშს ალბად გაუგონია, ალია მომკვდარაო (ალკოჰოლი ადამიანის მაწყინარიაო), და ის-კი არ იცის, რომელი ალიაა (რა განსხვავებაა ალკოჰოლსა და საზოგადოდ ჩვენებურს, კახურსა და იმერულს, ღვინოს შორის).

ქართველი სვამსო!.. მართალია, სვამს, მაგრამ ვინ არა სვამს: რუსიცა სვამს არაყს, აგერ ინგლისელი—ვისკისა და ჯინს დასწაფებია, გერმანელი—ნორდგეიზერს და ლუდს, ფრანგი—კონიაკს, შვეიცარიელი—კირშვასსერს, სვამს პოლონელიც თავისს საბარკის წვენს, აღმოსავლეთელი—რაკს... ყველა ამ სასმელში ალკოჰოლი ურევია, მაგრამ აბა რომელი ამ ერთაგანი განქრა ამ მიზეზით პირისაგან ქვეყნისა, რომ ქართველს დაემართოს ეს უბედურება ღვინის წყალობით, რომელიც თავისის ალკოჰოლ-ნარევობით სხვა ერთა სასმელებთან პატარძალია. ჩვეულებრივს არაყში რომ 40—50%-დე ალკოჰოლი ურევია, ჩვენებური სასმელი ღვინო 10—12%-ზედ ცოტა მეტს შეიცავს.

ვინ ამბობს, გადაჭარბებით სმა წყლისაც-კი მავნებელია და ღვინო ვის-და რა ხეირს დააყრის, მაგრამ ის-კი მტკნარი ტყუილია, ვითომ ღვინის გადაჭარბებით სმა ისე საშინლად იყოს ჩვენში გავრცელებული, რომ ქართველთა ხსენება სრულიად მოსპოს.

ეგ დალოცვილი, სტატისტიკას მაინც გადაჰხედავდა და დარწმუნდებოდა, რომ წელიწადში რუსეთში თითოეულ კაცის თავზედ მოდის არაყი ათ თუნგამდე, გერმანიაში—ცხრა ნახევარ თუნგამდე, ბელგიაში თორმეტ თუნგამდე და საფრანგეთშიაც-კი, სადაც ღვინის სმა ისე ძლიერ არის გავრცელებული,—არაყი ცხრა თუნგამდე იხარჯება, ინგლისს ხომ სმაში ჯიბრსა და მეტოქეობას ვერავინ გაუწევს. არც ერთი ამ ერთაგანი არ ამოსწყდება და ჩვენს ერს-კი თურმე ღვინო მოიღნობს. მეცნიერება არ არის, მა რა ეშმაკი და ქაჯია!..

კიდევ კარგია, რომ ანჩხატელმა თვისგან ნანახ ექიმის გაგონილი მეცნიერული უვიცობა გამოაქვეყნა და გაგვაცნო ეს ახალ-მოვლენილი ღვინოფობი, რომელსაც, როგორც სჩანს, ექიმბაშობასთან ბებიობაც მშვენივრად სცოდნია, რომ რწყილს ასე ადვილად აქლემი აშობინა!..

თუ ექიმობაც ისე კარგად იცის, როგორც ჩვენებურ ღვინისაგან მოსალოდნელი ვნება გაუზვიადებია, ვაი იმას, ვინც სამკურნალოდ ჩაუვარდება ხელში. მე-კი ვურჩევდი ამ „მეცნიერს“, რომ „კვალის“ თანამშრომელთა შორის ჩარიცხულიყო. იქ სწორედ მხარს დაუმშვენებს ნოე ჟორდანიას, რომელსაც სწორედ ამ ექიმსავით მეცნიერულადა აქვს შესწავლული საპოლიტიკო ეკონომია და მარქსი!..

კარგს იზამდა ეს მეცნიერი-ექიმი რომ ამ „სამეცნიერო“ „ნახატებიანს“ გაზეთში მეცნიერულად აგვიხსნიდეს ამბავს ქართველთა ხსენების ამოწყვეტისას და იქავე „ნახატსაც“ წარმოგვიდგენდეს ამ „ამოწყვეტის“ დასასურათებლად!..

ოღონდაც, რომ ისა და ჩვენი შინაური მეცნიერი-ფინანსისტი ძალიან დაამშვენებენ ერთმანერთს!..

ჩიორა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ქვემო-მაჩხაანი.** წარსულ მარიამობისთვის 12 სოფელ ქვემო-მაჩხაანში დაარსდა სასოფლო საავადმყოფო, რომლის შენახვაც იკისრა თავისის ხარჯით თვით ქიზიყის გლეხკაცობამ. ეს ფრიად სასარგებლო დაწესებულება გლეხ-კაცობას უჯდება წელიწადში 2,800 მ., რომელიც გროვდება კომლზედ ათ-ათის შაურით. ყველა გლეხს შეუძლიან ისარგებლოს მკურნალითა და წამლებითაც. რა საჭიროებას წარმოადგენს ეს დაწესებულება ქიზიყისათვის, სჩანს იქიდგან, რომ დაარსების დღიდგან დღევანდლამდე ქსენონს უწამლია 20,300 ავადმყოფისათვის. დიდის მადლობის ღირსნი არიან ისინი, რომელთაც ითავეს, ჩააგონეს ხალხს და განახორციელეს ეს გლეხკაცობისათვის უპირველესი და უსაჭიროესი საქმე. უფრო დიდის მადლობის ღირსია საავადმყოფოში დანიშნული მშრომელი, დაუღალავი და გლეხ-კაცობის მოყვარულ გულშემატკივარი ახალგაზდა მკურნალი ა. დიასამიძე. ბ-ნი დიასამიძე დანიშვნის დღიდგანვე ისე გულ-მოდგინეთ და თავ-განწირვით შეუდგა თავისს საქმეს, რომ პირველის ნაბიჯიდგანვე შეაყვარა და ნდობა მოუპოვა სასოფლო საავადმყოფოს მთელის ქიზიყის გლეხ-კაცობაში. რაც მან დაიწყო თავისი ნაყოფიერი მოქმედება, შესწყდა სიღნაღიდგან ყოველ დღე მკურნალის მოწვევა, რაც 15 მ. უჯდებათ და ამდენის ფულის გარდახდა კი ძლიერ უჭირდებოდა გლეხ-კაცობას. ბევრი უდროვოდ ესალმებოდა ამ წუთი-სოფელს უწამლობით. მკითხავ-ქადაგებმაც შეიკვეცეს ფრთები მკურნალის დიასამიძის წყალობით. სოფლის ექიმბაშებმაც იწყეს სხვა-და-სხვა ადგილების მებნა თავიანთ ჯიბე-უბის გასასუქებლად.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ამ საავადმყოფოს იმდენი ავადმყოფი მოაწყდა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო ერთი მკურნალი გასძღოლოდა. თუმცა ბ-ნი დიასამიძე დილის 8 საათიდგან ვიდრე 2 საათამდე ჰსინჯულობს ავადმყოფებს და შემდეგ საღამოს 9 საათამდე სოფელ-სოფელ დადის ავადმყოფების გასასინჯათ, მაგრამ მაინც ვერ ასწრობს ყველა ავადმყოფის ნახვას. გლეხკაცობამ ეს კარგად იგრძნო და წარსულ იანვარს დაადგინეს განაჩენი ყველა საზოგადოებამ: მოვუმატოთ კიდევ კომლზედ ათ-ათი შაური, მოვიწვიოთ კიდევ ერთი მკურნალი და ბებიაო. ეს განაჩენები წარუდგინეს ბოქაულ ერისთავს, წარსადგენად სადაც ჯერ არს და ეხლა პატივცემულ თავ. დიასამიძის და თავ. ერისთავის თაოსნობა-მეცადინეობით გვეყოლება: ორი მკურნალი, ორი ფერშალი და ერთი ბებია. გვექნება ვრცელი საავადმყოფო ექვსის ავადმყოფის საწოლით. კიდევ ვიმეორებ, რომ ყოველივე ეს გამოწვეულია საქმის რიგიანად წაყვანით და თავ-გაწირულის მოქმედებით. გლეხ-კაცობა ისე შეუგნებელი არ არის, რომ ვერ იგრძნოს და ვერ მიხვდეს—რაა მათთვის საკეთილო და სასარგებლო, მხოლოდ გზის მაჩვენებელია საჭირო.

ვერ მიცანი

## სწავლება ხიკარ ბრძენისა.

შემთხვევით ვიპოვნე ერთი ხელთნაწერი, რომელსაც ეწოდება სახელად „სწავლება და მეცნიერება ხიკარ ბრძენისაგან“. ხიკარ ანუ ახიკარ ცნობილია თავის „სწავლებით“ სირიულს, არაბულს, სომხურს, სლავიანურს („აკირ“) ენებზედ. საინტერესოა, რომ იგივე „სწავლება“ აღმოჩნდა ქართულს ენაზედაც. შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ხიკარი თუმცა უახლოვდება სომხურს მოთხრობებს, მაინც არც ერთს ამ ჟამად ცნობილს სომხურს ვარიანტს მის დედნად ვერ ჩავთვლით. გარდა ამისა, თვით ის ხელთ-ნაწერი, რომელიც მე შემხვდა, მეტად დაჯღაბნილია, ადგილ-ადგილ სიტყვები ან გამოშვებული, ან გადაკეთებულია, ხშირად წინადადება დაუმთავრებელია. ეს ნიშნები მაიძულებენ ვიფიქრო, რომ ჩემ მიერ მოპოვებული ხელთ-ნაწერი გადმოწერილია ძველის დედნიდგან და ამ უკანასკნელის აღმოჩენა ნათელს მოჰფენს როგორც თვით ქართულად აღმოჩენილს „სწავლებას“, აგრეთვე თვით „ხიკარის“ ისტორიის შესასწავლად საყურადღებო მასალად შეიქნება. ამისათვის მივმართავ ჩვენის მწერლობის მოტრფიალეთ თხოვნით, თუ სადმე შეხვედრიათ „ხიკარის მეცნიერება“ გაგვიზიარონ ან ჟურნალ-გაზეთის საშუალებით, ან პირდაპირ მე მათხოვონ დროებით, რისთვისაც დიდს მადლობას ამ თავითვე ვუძღვნი.

იწყება ეს მოთხრობა ამ სიტყვებით: „მე ხიკარ ვეზირი ვიყავი, ხელმწიფის ასორისტახისა და მყავდა სამოცი ცოლი და ავაშენე სამოცი სახლი და მე ხიკარ ვიყავ სამოცის წლისა და არ მყავდა შვილი“... აი ორიოდე ნაწყვეტი „სწავლებისაგან ხიკარისა, რომელიც ასწავლა თავის შვილს ნათანს“ (ანნათანს): შვილო უმჯობესი არს მეცნიერთ კაცთან თივის ზიდვა, ვინემ უმეცართან სმა და ჭამა. შვილო, თუ შენი მეგობარი ავათ იყოს, ნუ იტყვი შენს გულში, თუ მსხალი ანუ ვაშლი ვიყიდო და ასრე წავიდე სანახავად; წადი ფეხით და ნახე თვალით, რამეთუ ავათმყოფის ცარიელად ნახვა უფრო ჯობიან, მინამც მრავალი რამის ჭმევა. შვილო, ნუ იმრუშებ სხვას ცოლთან, რამეთუ სხვათა არა იმრუშოს შენ ცოლთან. შვილო, ნუ დაანებებ შენს მეგობარს, რომ დადვას ფერხი (შენს) ფეხზე, თვარემ გაგიდნიერდება და დაგადგამს მკერდზე, შვილო უმჯობესი არის, ერთი თიკანი დაკლის შენს სახლში, ვიდრე (ვირემ) ერთი ხარი სხვის სახლში. სხვათა შორის, წყაროდ, საიდანაც მომდინარეობს „ხიკარის სწავლება“ ასახელებენ წიგნსა ტობიასას, თუმცა ზოგნი ხიკარის მეცნიერებას დამოუკიდებლად აღიარებენ.

ა. ხახანაშვილი

## უცხოეთი

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.**

„Central News“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან, რომ ბურები ძალიან გულ-მოდგინედ შეუდგნენ პრეტორიის გამაგრებასაო. აზრადა აქვთ ისე კარგად გაამაგრონ და იმდენი სურსათი შეინახონ იქ, რომ ორ წელიწადს გაუძლონ მტერს. ადგილობრივ ფირმებს შეუკვეთეს დიდ ძალი ტყვია-წამალი და სხვა მასალა. უთვალავ სურსათს ყიდულობენ და ყუთებით ინახავენ. ბევრი რამ ბურებს სხვა ქვეყნებსა და ქალაქებშიაც უყიდნიათ: ჰამბურგსა, ლისაბონსა და მარსელში.

— გაზეთ „Daily Mail“-ს ლედისმიტიდგან ატყობინებენ: ბურები ამ ქალაქიდგან სულ 20 მილის სიშორეზედ სდგანან. 6 მარტს მათ ინგლისის ცხენოსან დარაჯებს თოფები დაუშინეს, საღამოზედ კიდევ თავს დაესხნენ ბესტერსის სადგურსაო. დურბანსა და ელანგსლაატეს შუა მატარებლებს უკვე დაუწყიათ სიარული. ლედი-სმიტიდგან მრავალი ავადმყოფი წაიყვანეს ინგლისელებმა, მაგრამ 200 კაცი კიდევ წევს იქ საავადმყოფოებში. მეორე გაზეთის კორესპონდენტი იუწყება კიდევ, რომ ელანგსლაატესა და სხვა მახლობელს ადგილებში სახლები და ფერმები სულ დაქცეულიაო. მაღნებშიაც მანქანები სულ ერთიან განადგურებულია. საოცრად მძვინვარებს თურმე ციებ-ცხელება; ორსამ თვეში 2,300 კაცი გამხდარა ავად.

— ინგლისურ გაზეთების სიტყვით, ორანჟეს რესპუბლიკაში ომი გათავებულად უნდა ჩაითვალოს. „Central News“-ის კორესპონდენტი იუწყება: დავრწმუნდი, რომ ორანჟელ ბურებს აღარა სურთ ომის განგრძობა: ბურები ჯარობით მოდიან, მორჩილებას აცხადებენ და იარაღს იხსნიან. ყველანი სიხარულს აცხადებდნენ, რომ ძლივს ომს ბოლო ეღებაო. სადგურ კაფფერ

---

ეს ვიკითხოთ: თუ ქონების გაყიდვის შიში, თუ ძალით გამორთმევის ფიქრი და დარდი არ ექმნება ვალის ამღებს, ვიღა აიტკივებდა თავს ვალის მოსამორებლად. ეს ერთის მხრით, და მეორეს მხრით, ვინ ოხერი იქმნებოდა ფული ანდოს ვისმე სესხად და ნება არა ჰქონდეს ძალით აზღვევინოს, თუ ნებით არ დაუბრუნეს? ამიტომაც ქონების გაყიდვა კრედიტის არსებობისათვის ისეთივე აუცილებელი ძირეული კუთვნილებაა, როგორც ადამიანისათვის სული და ხორცი.

IX

მართალია, კრედიტი ორ-პირი მახვილია. ვინც კრედიტით მოპოებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის გაიძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრაფებაა და ვინც გაჰფლანგავს და ჰერში ქუდის სროლით ლხინს მოანდომებს, მისთვის ყელის გამოსაჭრელია და საფლავის მთხრელი. აქ თვითონ კრედიტი რა შუაშია, როცა კაცი თავისის თავის მტერია? დანისა რა ბრალია, როცა კაცი მით ყელს იჭრის მაშინ, როდესაც იგი გაჩენილია, რომ კაცს ყელები-კი არა სჭრას, არამედ საქმე უკეთოს. რკინის გზა რა შუაშია, თუ კაცი განგებ, ან გაუფრთხილებლობით ქვეშ მოჰყვება და გაიჭყლიტება? განა ამ შემთხვევაში საბუთი აქვს ჭკუათა-მყოფელს კაცს სთქვას, რომ ბუნება და დანიშნულება რკინის გზისა ის არის, რომ კაცები ჭყლიტოსო? არა აქვს საბუთი, მაგრამ ახლა ზოგიც ბ-ნ ნოე ჟორდანიასა ჰკითხეთ. განა აშკარა არ არის, რომ, როცა ეს ბრძენი კაცი ჩვენს ბანკზე ჰლაპარაკობს, დამფუძნებელთ, ჩვენებურად, ვალის ამღებს, ჰლუპავსო, სწორედ ამ სასაცილო ლოღიკით ჰლამის ფონს გავიდეს. უბადრუკობა და ცარიელობა ამაზე მეტი-ღა იქნება!

ყველაზე სასაცილო სიბრძნე ბ-ნ ნოე ჟორდანიასი არის შემდეგი. ხომ სთქვა, რომ „ერთის მხრით ჩვენებური ბანკი ბურჟუაზიულ-ფინანსიური დაწესებულება არის და მეორეს მხრით თავად-აზნაურულ წოდებრივიო“, მერე ასე სამასხაროდ ჰბჭობს: „პირველ შემთხვევაში ის (ესე იგი ჩვენებური ბანკი) ჰხატავს პრინციპს ფულის ბატონობისას, ხოლო მეორე შემთხვევაში პრინციპს წოდების განმტკიცებისასო. მარა რადგანაც ეს ორი მოვლენა—ფული და წოდება—ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგება, ამიტომაც ბანკიც იძულებულია ამ წინააღმდეგობაში იტრიალოს და მით თავისს თავს ებრძოლოს“-ო.

ერთი ქუდი დაჰხედეთ და სამართალი ისე ჰქენით: ეს გადაჩერჩეტებული და დამთხვეული ტირადა ბოდვაა გონება დაბნეულისა, თუ სჯა ჭკუათა-მყოფელის კაცისა? პასუხი ამისი ცხადია. ნეტა რას ჰნიშნავს ეს „ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგება“.

განა ფული როდის მივარდნია ბ-ნ ჟორდანიას წოდებისაგან ცხვირ-პირ დასისხლიანებული საჩივრად, ან წოდება როდის უნახავს ფულისაგან გატყეპილი. ამათ შორის დავიდარაბას, ერთმანეთზე მისევას, ერთმანეთში წინააღმდეგობას, ჩხუბს და ომს ვინ მოსწრებია... ან ერთი მითხარით: რა აზრი არის შიგ, როცა ამბობენ,—ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგებაო. როგორ? ფული და წოდება ერთმანეთთან ვერა თავსდება, როგორც ცეცხლი და წყალი, თუ ერთი რამ ხათაბალა ასტეხია ფულსაცა და წოდებასაც. ფული ხომ წოდების ჯიბეშიაც მშვიდობიანად ჩადის, ბინას იკეთებს და მშვიდობიანად სძლებს, როგორც ცალკე კაცისაშიც და ორსავ შემთხვევაში ერთსა და იმავე უნარს იჩენს, ორსავ შემთხვევაში არც ზნეს იცვლის, არც ფერსა და სულ ერთსა და იმავე მხიარულ გუნებაზეა, ვის ხელთაც გინდ იყოს. მაშ საიდამ გამოატყვრინა ჩვენმა მეცნიერმა პუბლიცისტმა ეს „ძირიანი წინააღმდეგობა“? ან ფულის ბუნება, ან წოდებისა განა იმისთანა რამ არის, რომ ერთი მეორეს ვერ მიეკარება, ერთი მეორეს ვერ მიუვა? ან იქნება ფული წოდებას ჰთაკილობს, არა ჰკადრულობს, ან ფულს წოდება, თუ რამ სხვა ეშმაკია აქ დამალული?

აქ არავითარი ეშმაკი არ არის. აქ მარტო იგივ უმეცარი ბ-ნი ჟორდანიაა, რომელსაც დავთრები არევია, რომელსაც არა სცოდნია არც ის, თუ რა არის ფული, არც ის, თუ რა არის წოდება, თორემ იმას არ იტყოდა, რაცა სთქვა.

„ძირიანი წინააღმდეგობა“ ფულსა და წოდებას შუა! გაგიგონიათ სადმე, ან ვისგანმე ასეთი თავზე ხელაღებული ბოდვა! ჭკუის კოლოფს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის, თუ არ დაგიშლიათ! ბ-ნი ნოე ჟორდანია ახალი კაცია და სულ იმას ჰქადულობს, რომ ახალი აზრები შემოაქვს ჩვენში. თუმცა ამ სიტყვებში არავითარი აზრი არ არის, არც ძველი და არც ახალი, მაგრამ მთლად ახალი ბოდვა კია და ყოველივე ახალი, გინდ ბოდვაც და სულელობაც იყოს, მაინც კარგია, თორემ ბ-ნი ნოე ჟორდანია ხელს არ მოჰკიდებდა.

ახალ-მოსული

(შემდეგი იქნება)

რაგერში 200 ბური ვნახე, რომელთაც დიდის სიხარულით გადასცეს ინგლისელებს თოფებით. ეჭვი არ არის, ეს ცნობები ინგლისელების გაზეთების მიერ გაზვიადებულია. ორანჟიელი ბურები ჯერ არ აპირობენ იარაღის დაყრას და თუ გადაუციათ რამ ინგლისელებისთვის, ისიც, როგორც ოფიციალურად იუწყებოდნენ, მველი და უვარგისი თოფები გამოდგა.

—

**ჩინეთი.** ინგლისურ გაზეთების სიტყვით, ჩინეთში საქმეები მეტად აწეწილ-დაწეწილია თურმე. მთავრობა ჩინეთისა არავითარ ზომებს არ ხმარობს იმ ჩინელთა წინააღმდეგ, რომელნიც უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ ხალხს აღელვებენ. გუბერნატორმა იუხმა წინდაწინვე გამოუცხადა მისიონერებს, რომ ჩვენ ვერ შეგიმაგრებთ ხალხს და ამიტომ მარტონი ნუ მოგზაურობთო. თვით ქვრივი იმპერატრიცა, მგონი, წინააღმდეგი არ არის ამისა. სხვათა შორის, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ შანტუნგის გუბერნატორი, რომელიც ევროპიელების მოთხოვნილებით ამას წინად გადაყენებულ იქმნა, ხელ-ახლა დანიშნეს გუბერნატორადაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთ რუსულ გაზეთში დაბეჭდილია საყურადღებო კორესპონდენცია ტრანსვაალიდგან: „პრეტორიაში,—სწერს კორესპონდენტი,—არსებობს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, აგრეთვე რეალური სასწავლებელი. მრავლად არსებობს აგრეთვე დაბალი სასწავლებლები, სამაგიეროდ არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არის. უმაღლეს სწავლის მისაღებად ბურები შვილებს ევროპაში ჰგზავნიან. პრეტორიაში არც თეატრია, ხან და ხან კლუბში კონცერტებს გამართავენ ხოლმე. ბურების სატახტო ქალაქში მხოლოდ ერთი გაზეთი იბეჭდება. ამბობენ, რომ აქ ძალიან ცოტა წიგნები იბეჭდებაო: დაბადების გარდა წელიწადი გავა, სხვა წიგნი არ დაიბეჭდოსო. ჟურნალი სულ არ არის.

„პრეტორიაში მხოლოდ ოთხი ქარხანაა. ბურებს აქ საკუთარი ზარაფხანაცა აქვთ, სადაც ფულსა სჭრიან. აქაურს ფულზედ კრიუგერის სახეა გამოხატული. ლიმონადს აქვე ამზადებენ, ხოლო ლუდი შემოაქვთ. ერთი ბოთლი ლუდი ორ მანეთადა ჰფასობს. საზოგადოდ, აქ საშინელი სიძვირეა. ამის მიზეზი ოქროს სიმრავლეა. წვრილი ფული ტრანსვაალში არც-კი იციან: 12 კაპეიკი-ზედ ნაკლები არ მოიპოვება. ყავასა და თამბაქოს გარდა ყველაფერი შემოაქვთ. გირვანქა ფხვნილი შაქარი 1 მანეთი 80 კაპეიკად ჰფასობს. ესეც-კია, შაქარი გზაში ძლიერ იაფად გვეყიდა: ალექსანდრიაში, მაგალითად, ჩვენებური, რუსული შაქარი გირვანქა 5 კაპეიკად იყიდება. მიწა თუმცა ბევრია, მაგრამ ბურები ცოტასა სთესენ, რის გამოც პური ძვირადა ჰფასობს: ფუთი ფქვილი—14 მანეთად.

„ყველაფრის ასეთის სიძვირის გამო, ღარიბებს აქ ცხოვრება არ შეუძლიანთ და ვერცა ჰნახავთ ღარიბებს: მთავრობა მთხოვარას არ უშვებს სახელმწიფოში, თუ საიდგანმე შემოვა მთხოვარა ან მაწანწალა, საზღვარ-გარეთ ისტუმრებენ.

„პრეტორია მეტად კოხტა და მოხდენილი ქალაქია. ეს ქალაქი ბაღებით სავსეა. სახლები უმთავრესად თითო სართულიანია. თუმცა აქა-იქ ორ-სამ სართულიანსაც შეხვდებით. ეკკლესიები ბლომად არის. კვირას ერთ ეკკლესიაში წირვა მოვისმინეთ. წირვაზედ თვით კრიუგერიც იქადაგა. ბურებს საქონელი ბლომადა ჰყავთ. ურემში ხანდის-ხან 8—10 უღელ ხარს აბამენ ხოლმე. ცხენი და ჯორი ძვირადა ჰფასობს.

„ამბობენ, ტრანსვაალი გველების ქვეყანაა. შეხვდებით თურმე აქ აუარება გველს: დიდს, პატარას, შხამიანს, უშხამოს. პრეტორიაში გვირჩიეს, როდესაც ბრძოლის ველზედ წავალთ და კარავში ვიცხოვრებთ, ფრთხილად მოვიქცეთ. დაწოლის დროს ბალიშებს და ლეიბებს ქვეშ შეიხედეთ, გველი არ იყოსო, გვითხრეს, ადგომის დროს კიდევ, წაღები გასინჯეთ, ხშირად იციან წაღაში ჩაძრომაო.

„საინტერესოა აქაური შავი ხალხი. ველურობისა ამ ხალხს თითქმის აღარაფერი აცხია. როგორც კაცები, აგრეთვე ქალები ევროპიულად იცვამენ; ზევრს უკანასკნელ მოდის ტანისამოსიც-კი აცვია. ამბობენ, რომ ტრანსვაალში სულ ათი ტომი სცხოვრობსო. ყველა ტომს თავისი მეთაური ან მეფე ჰყავს. ქოხს ბალახისაგან იკეთებენ. ასეთი ქოხი მეტად სუფთაა. საზოგადოდ შავები სუფთად და კარგადა სცხოვრობენ თურმე. მაგრამ შავებს ერთი ცუდი ზნე ჰქონიათ, ყველაფერს იპარავენ. ამბობენ კიდევ, რომ ვიდრე შავი კერპ-თაყვანის მცემელია, უფრო პატიოსანია, ხოლო როდესაც მოინათლება, ყოველ გვარ სისაძაგლეს ეტანებაო.

„შავებს შორის პირველი ადგილი ზულუსებს უჭირავთ. ზულუსი ძალიან ამაყია; სხვებს სცემენ კიდეც, მაგრამ ზულუსებს ხელს ვერავინ ახლებს: ასეთი კაცი მოუკლავი არ გადარჩება. ზულუსებს გარდა სცხოვრობენ აქ ბაზუტები და კაფრებიც. როდესაც ბაზუტს ფულის შეგროვება უნდა, მოსამსახურედა დგება; თვეში ბაზუტს 30 მანეთი ეძლევა. შეაგროვებს იმდენს, რამდენიც ცოლის სასყიდლად ეყოფა. მაგრამ ერთი ცოლი არ აკმაყოფილებს ბაზუტს, მუშაობს და ორ-სამ ცოლს კიდევ ყიდულობს. როდესაც ოთხ ცოლს გაიჩენს, მუშაობას თავს ანებებს, მხარ-თეძოზედ წევს და არხეინად სჭამს, სვამს და ყალიონსა სწევს: ყველა საქმეს ცოლები აკეთებენ, სთესავენ, ხნავენ და სხვ. ბაზუტები მთაში სცხოვრობენ და თითქმის დამოუკიდებელ სამფლობელოს შეადგენენ. ბაზუტებს ჯერ არ გადაუწყვეტნიათ, ვის მიემხრნენ—ბურებს თუ ინგლისელებს; ჯერ-ჯერობით-კი თავისს მიწა-წყალზედ არც ერთს უშვებენ და არც მტრობენ.“

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი

**ალჟირი.** ოაზისი ინშარი ტიდიკელის მახლობლად 19 მარტს ცხარე ბრძოლის შემდეგ დაპყრობილ იქმნა. ბრძოლის დროს ფრანგების მხრივ მოკლულ იქმნა 2 აფიცერი და 9 მსროლელი, დაჭრილი რამდენიმე კაცია. არაბებსა და მარროკოელებს მოუკლეს 600 კაცი, დაუჭრეს—1000 და ტყვედაც 500 კაცია წამოყვანილი.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში გალიფემ წაიკითხა გენერალ გრიზოს დეპეშა ინშარის დაპყრობის შესახებ. დეპეშაში ნათქვამია, რომ ქალაქს ჯერ ალყა შემოვარტყით, ყუმბარები დაუშინეთ და შემდეგ იერიში მივიტანეთო. მოწინააღმდეგეს მოუკვდა 600 კაცი. რამდენიმე ასი კაცი დაჭრილი ჩვენმა ჯარმა აიყვანა, ბევრი დაჭრილი თვით მტერმა წაიყვანა. ტყვედ 450 კაცი წამოვიყვანეთ, მათ შორის ტუატის გუბერნატორიც. ჩვენის მხრივ მოკლულია 9 და დაჭრილი 38 კაცი, მათ შორის ორი აფიცერი. სამხედრო მინისტრმა მიანდო გენერალს გრიზოს მიულოცოს აქ პედიციო რაზმს გამარჯვება.

**პეტერბურგი.** დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული 17 მარტს საიმპერატორო დედათა საზოგადოების სკოლაში ჰბრძანდებოდა.

**კიმბერლი.** მეტუენი დაბრუნდა აქ ბარკლის ოლქიდგან ცხენოსანის ჯარით. მეტუენი ლიკანტლონგში იყო, როდესაც რობერტსისაგან დაბრუნების ბრძანება მიიღო.

18 მარტი

**პეტერბურგი.** დანიშნულ იქმნენ: მისის უდიდებულესობის ფინლიანდიის კანცელარიის საქმეთა მმართველი გრაფი არმფელდი დანიშნულ იქმნა ფინლიანდიის დიდის სამთავროს სტატს სეკრეტარის, მინისტრის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელად.

**ლონდონი.** სამხედრო კორრესპონდენტი არჩიბალდ ფორბსი გარდაიცვალა.

**პრეტორია.** დილით ჟუბერის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნა ლოცვა. ლოცვას დაესწრნენ ყველა წოდების მკვიდრნი და აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა სამხედრო წარმომადგენელნი; ესენი მუნდირებით იყვნენ. აქ ტყვედ მყოფმა ინგლისელმა აფიცრებმა ჟუბერის კუბო გვირგვინებით შეამკეს.

**ბლუმფონტეინი.** რადგან მტერი ინგლისის მახლობლად ჰმოქმედობს და მტრულად ეპყრობა ბურგერებს, რომელნიც ინგლისს დაჰმორჩილდნენ, რობერტსმა საჭიროდ დაინახა გაერეკა ისინი გორაკებიდგან, სადაც ისინი იდგნენ კარრის სადგურს ახლოს, ბლუმფონტეინიდგან სამის მილის მანძილზედ სამხრეთით. ეს საქმე შეასრულა მე-17 ქვეითა დივიზიამ და მე-2 ცხენოსანმა ბრიგადამ. ბურებმა დაიწიეს ბრანდფორტისაკენ და ეხლა ეს გორაკები ინგლისის ჯარს უჭირავს. ინგლისელებს ბრძოლის დროს მოუკვდათ ერთი კაპიტანი და დაეჭრათ ორი პორუჩიკი და ხუთი კაპიტანი. 100-მდე ჯარის-კაცია მოკლული და დაჭრილი.

პეტერბურგის ბირჟა, 17 მარტი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% ხს მომგებიანი გირავნობის ფურცელი სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 216½ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 91 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 91 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97¼ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 91 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 296½ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 258 |

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „ვერიის“ მე-32 ნომერში დაბეჭდილია მიქელ-გაბრიელიდგან მოწერილი ამბავი. ერთმა აქაურმა აზნაურმა თავი შეურაცხყოფილად იცნო და იმ წერილის ავტორად მე დამსახა. უმორჩილესად გთხოვთ თავიდან ამიცილოთ ეს უსიამოვნო ეჭვი *).

ზემომოყვანილი მიქელ-გაბრიელის სოფლის მოხსე მეგრელიძე.

*) ვაცხადებთ, რომ ის წერილი ბ-ნს მეგრელიძეს არ ეკუთვნის. რედ.


# განცხადებანი

პუშკინის ფოტოგრაფია
ა. ს. ნოვოდმეიჩისა,
რომელიც 1892-დან 1899 წლამდე რომანოვის ფოტოგრაფიას განაგებდა,
ახლანდელ ფოტოგრაფიულ სახლშ.
სურათების გადაღება შესრულდება ყოველ დღეს, მოუხედავად ამინდისა.
სამხედრო წოდების კაცთ მოსწავლეებს ნაკლები სასყიდელი განსაკუთრებით.
ტფილისი, პუშკინის ქ., წინანდლის სახლი, თამამშევის ქარვ. პირდაპირ.
(30—44—15)



(267—50—15)

## ნ. ა. საბაევის მაღაზია

აცხადებს, რომ რადგანაც ბევრი საქონელია ამ ჟამად მაღაზიაში თავმოყრილი და მრავალია აგრეთვე ცალ-ცალად, რაც დიუჟინს არ ავსებს და მთელს სერვიზსაც არ შეადგენს,

**15 მარტიდგან 9 აპრილამდე მოხდება**

## დიდი ვაჭრობა

გაიყიდება შემდეგი ნივთები:

ჭურჭელი: ფაიფურისა, ფაიანსისა (ქაშანურისა), შუშისა; სერვიზი: სადილისა და ჩაისა. ლამპრები და მელქიორიდგან გაკეთებული ნივთები, ოჯახისთვის საჭირო ნივთები.

— სხვა და-სხვა ავეჯეულობა. —

გაიყიდება ყველა ეს საქონელი ნამდვილის ფასის 25%-დგან 50%-ამდე დაკლებით.

ჩემს მაღაზიაში დანიშნული ვაჭრობა არაფრით არა ჰგავს იმ ვაჭრობას, რომელიც ხშირად იმართება სხვა მაღაზიებში. ჩემს მაღაზიაში ვაჭრობა მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ ბევრი საქონელი შეიკრიბა და მრავალია დიუჟინ და სერვიზ-შეუსრულებელი.

ვაჭრობა ცალკე განსაკუთრებულ ამისთვის მოწყობილ სადგომში მოხდება ოლღინის ქუჩაზედ, ჩემის ავეჯეულობის მაღაზიის გვერდით.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უყურადღებოდ არ დამტოვებს.

(15—6.—5) ნ. ა. საბაევი.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 22 მარტს, ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანდასწრებით,

მოხდება საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ავჭალის წყლის მილის გამგისათვის სახლის აგებისა და საცხოვრებელ სახლის შეკეთების საქმე ავჭალაში, სულ 5653 მანეთისა და 16 კაპ.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 20 მარტს, ამა 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობისათვის მილის გამართვის საქმე სამების ქუჩაში ადამიას სახლის პირდაპირ, სიგრძით 67 საჟ., სულ 1560 მანეთისა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 2 საათამდე.

(3—6.—2)

დასასრული

## ქართლის ცხოვრებისა

მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი ორი აბაზი. ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.

# საამქრალო

## ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერავად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელ-საქმისას.

ტფილისი, გიორგიევის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე ანნა მერკვილაძისა.

(10—74—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 марта 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე